# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ქვეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



მღვდელი ილარიონ სიმონის ძე გძელიშვილი და ძენი მისნი: გრიგოლ, სიმონ, ვლადიმერ და ეკატერინე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 25 აპრილს, გორის მაზრის სოფელს მერეთში გარდახდილი იქნება წლის წირვა პირველის მეუღლისა და მეორეთა დედისა, **ნინო იოსების ასულისა.** (2—2)

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში ისყიდება

ახალი წიგნი:

**თავადი ილია ჭავჭავაძე**

და

**იმისი მოღვაწეობა.**

ფასი 20 კაპ. 3—3

ახლად გაიმართა კანტორა

**ნოტარიუს გრიგორიევისა**

ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ,

იაკობ გურგენოვის სახლში, № 2. 3—3


## ახალი ამბავი

*** პარასკევს, 24 ამ თთვისას, მოხდება კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. ამ კრებამ უნდა განიხილოს სხვათა შორის მოხსენება ქალაქ ერევანში სამეურნეო სკოლის დაარსებისა.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზამენები ზეგ იწყება, 24 აპრილს.

*** 16 აპრილს მონასტერ უძოსთან, ტფილისსა და კოჯორს შუა, ბილიკს გზაზედ სოფ. სამგორეთის მცხოვრებელს ნერსეს ჩილინგაროვსა და გრენადერის გრუზინსკის რაზმის ჯარის-კაცს მიტროფანე მატვეენკოს დახვედრია ექვსი შეიარაღებული კაცი და გაუძარცვავთ. ნერსეს ჩილინგაროვისათვის წაურთმევიათ 22 მან. ფულად, ერთი ვერცხლის ქამარი, ერთიც ვერცხლის საათი და ხანჯალი. პრიუტის ბოქაულმა, შეიტყო თუ არა ეს ამბავი, რამდენიმე შეიარაღებული კაცი დააპატიმრა და გაძარცულთ წარუდგინა. ამ დაპატიმრებულებში ნერსეს ჩილინგაროვმა და მიტროფანე მატვეენკომ თავის გამძარცველებად სამი კაცი იცნეს: ქუთაისის მცხოვრებელი ბესო გეგელიძე და ორიც წავკისელი, გიგო ბექიაშვილი და პავლე გეველი. დამნაშავენი გუშინ უკვე გაჰგზავნეს ტფილისის საპატიმროში. გამოძიება სწარმოებს.

*** ამას წინად ჩვენა ვწერდით, რომ კოდის საზოგადოებაში საქონელს თურქული გამოაჩნდაო. როგორც ეხლა შევიტყეთ, ამ საზოგადოებაში 15 მარტიდგან 15 აპრილამდე: კოდაში თურქულით ავად ყოფილა სხვილ-ფეხი საქონელი 190 სული. ამათში 60 მორჩენილა, 10 დახოცილა და 120 ეხლაც ავად არის. მუხათში 70 ყოფილა ავად, 28 მორჩენილა, 42 ისევ ავად არის. მარაბდაში 60 ყოფილა ავად, 20 მორჩენილა, 40 ისევ ავად არის. საჭიროა ფიცხელი რამ ღონისძიება იხმარონ და ბეითალი გაჰგზავნონ, თორემ შეიძლება ეს საქონლის ჭირი სხვა საზოგადოებათა საქონელსაც გადაედოს.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების“ სალატარიოდ შემოსწირეს:

კნ. მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ—ორი ტუმბა კაკლისა, ნახევარი დიუჟინი ფარფორის ძვირფასი ლამბაქ-ფინჯანი, ერთი ფარფორის ყვავილიანი ლიტრა, ორი საფერფლე, ერთი ძვირფასი ალიმინია. კნ. ნინო იოსების ასულმა ბაგრატიონ-მუხრანსკისამ — ძვირფასი ვაზა და ხავერდის პატარას უფრა. კნ. ანდრონიკოვისამ—ფინჯან-ლამბაქი. კნიაჟნა ეკატერინე ივანეს ასულმა ბარათაშვილისამ—გიშრის სტაქანი და შანდალი. კნ. მარიამ ივანეს ასულმა ამილახვრისამ—ერთი პოსტკარტი. ელისაბედ დიმიტრის ასულმა სტაროსელსკისამ—ერთი მატყლის ქუდი, ორი წყვილი ხელთათმანი და ყვავილიანი ცარცის ფიცარი.

*** განჯის გუბერნატორი აუწყებს კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ 12 მარტიდგან 14 აპრილამდე ხალხმა განჯაში შეჰკრიბა და გასწყვიტა კალიის კვერცხი მაზრებში: ყაზახისა—2213 ფუთი., ნუხისა—$285^1/_2$ ფ., განჯისა—3136 ფ. არეშისა—106 ფ., ჯებრაილისა—$3632^1/_2$ ფ., სულ 9373 ფ., რაიცა უწინ მოგროვილს 4173 ფუთს რომ მივუმატოთ, 13,546 ფუთს შეადგენს.

*** ტფილისის კლასიკურს მეორე გიმნაზიის 1 კლასში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 28 და 29 მაისს.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 8—15 აპრილს ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით—1, ხუნაგით—1 და ჩუტყვავილით—3. იმავე დროს განმავლობაში გარდაცვლილა: ყვავილით—1 და ხუნაგით—1 კაცი.

*** გზათა სამინისტროს მმართველმა ნება დართო, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ ვერსზედ $^3/_4$ კაპეიკი გამოერთვას კალიის გასაწყვეტად გაგზავნილ-გამოგზავნილს მუშებს და $^1/_{10}$ კაპეიკი მუშების იარაღსა და ნავთს გარდახდეს.

*** ქალაქის მმართველობამ აღმოაჩინა, რომ რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა სახლის პატრონებს ალლუზენიძეს, რაზმაძესა და სხვებს ქალაქის მამულიდგან 150 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა უკანონოდ დაუსაკუთრებიათ. დამნაშავეთ ოქმი შეუდგინეს და სამართალს გადასცეს.

*** სოფ. დუშეთი: ჯიქურაულთკარში აპრილის თხუთმეტს, სამშაბათს ღამით, გლეხს ნიკოლოზ პავლიაურს დაეცნენ ქურდები და გაჰქურდეს. ჯერ ბოსლის კარი ეწვალებინათ, მაგრამ ვერ გაეღოთ. მერე მოევლოთ ბანიდგან და იქიდგან ჩამძვრალიყვნენ. მიევლ-მოევლოთ ბოსელი, ხარ-კამბეჩებისათვის ხელი არ ეხლოთ, აეშვათ ცხენი, კიდევ ერთი ჰკედილა და ისე გამობძანებულიყვნენ. იქვე დერეფანში თურმე საწისქვილე და მომზადებული რვა საცალო პური იდგა: ამათგან ორი მოეპარათ და ორიც ძირს მოეპნიათ. აქედგან გადასულიყვნენ ისაკა ჯიქურაულის სახლში ფანჯარიდგან და, რაც რამ ვერცხლეული ენახათ (რომელსაც კარგა ბლომად ასახელებენ), სულ გამოეტანათ და ისე ხელ-სავსეები გამგზავრებულიყვნენ. გზაზედ ცხვრისთვის ყელი გამოეჭრათ და სისხლის კვალი კარგა დიდს მანძილს მიჰყოლოდა. მეორე დღესვე ბოქაულს გამოუცხადეს და ესეც შეუდგა ქურდების ძებნას. ეჭვი მიიტანეს ამავე სოფლის ახლოს მეაგურხანე თათრებზედ, რომელნიც ბელადად მოჰყოლიან სხვა თათრებს.

*** იქიდამვე: იმავე სოფელში აღდგომის კვირას ორი გლეხი მუშაობდა ვენახში: ისაკა ჯიქურაული და სოლომონ თათიკაშვილი. მუღაობის დროს შელაპარაკდნენ და შაპარაკი ლანძღვა-გინებად გადაექცათ. თათიკაშვილმა ვერ მოუთმინა ჯიქურაულს და თავში ბარი დასცხო, რის გამოც უკანასკნელს თავი ძალიან გაეჭრა და ეხლა ლოგინად მიქცეულის სიკვდილს დღე-დღეზედ ელიან. ეს ამბავიც ბოქაულს მოხსენდა.

*** ს. საბუე (თელავის მაზ.): აღდგომის მეორე დღეს, ამ თთვის 6-ს, აი რა უბედურება დატრიალდა აქაურ მამასახლისის სახლში. ღამის თორმეტს საათზე აქაურს მდგმურს ლეკებს წინანდელი ჯავრი სჭირებიათ მისი და სამაგიეროდ მოუწადინებიათ მისი გადახდა, რადგანაც მამასახლისს ამ დღეს წვეულება ჰქონდა და იმისი სახლობა ღვინო ნასვამი იყო. აი ამ აზრის განსახორციელებლად სამს ლეკს მოუწადინია იმის სახლის გატეხა. ორი კარში დარჩენილა და მესამეს ფიცრულ სახლის დირე გამოუთხრია და ისე შემძვრალა სახლში. ერთი მათგანი მაშინვე გაქცეულა და ერთი-ღა დარჩენილა კარში.

# ფელეტონი

### ქასირეთი

(გამაჰმადიანებულ საქართველოში გაგონილი)

თიბათვე მიწურული იყო. ორშაბათი დილა მშვენიერი, მოწმენდილი გათენდა. მზე ის იყო ახლად აპირებდა ამოსვლას და არე-მარეს გაღვიძებას. ფრინველთ გუნდი ჟივილხივილით ეგებებოდა დღე და ღამის გაყრას და თითოეული მათგანი თითქოს რაღაცა მზრუნველობით დაფრინავდა აქეთ-იქით, რათა დილის ნიავით გაღვიძებული მადა მალე დაეკმაყოფილებინა და დამტკბარიყო განმაცოცხლებელ დილის მზის სხივებით. მწყემსს თავისი საყვარელი ცხვარი შემოეშალა მთაზედ და ტკბილის სალამურით ზაფხულის დილის სიკეკლუცეს აქებდა და უწყალოდ აკვნესებდა განუყრელს საკრავს, თითქოს თავისის გულის ნაღველი სულ ამ უბრალოდ დახვრეტილს ხეში უნდა გაატაროს და მერე დროებით მაინც მიეცეს დავიწყებასაო. მწყემსის ხმასა და სტვენაზედ ღამით მოშეული ფარაც ერთგულად სწიწკნიდა ნამიანს ბალახს და თითქოს პატრონის გასახარებლად ტურფად დაკუნტრუშებდა მთის ბილიკებზედ. სოფელს გამოეღვიძნა და მოძრაობაში იყო.

— თამროვ! დაიძახა ერთმა, ასე ოცის, ოც-და-ორის წლის თვალადტანადმა გლეხმა, რომელმაც ის იყო სახლის გარე კარები გამოაღო და ეზოში გამოვიდა: თამრო, გაიმეორა ანდრომ (გლეხს ანდრო ერქვა) და დააყოლა: მე სათიბში ვიქნები და იქ ამომიტანე სადილი. აბა, ვინძლო, შენებურად მარდად წამოხვიდე, ხომ იცი უზმო მივდივარ. როგორ გემრიელ სადილსაც ამომიტან, ის შენმა ქალობამ იცის, დაუმატა ანდრომ ღიმილით. გადიწერა პირჯვარი, გაიდო ცელი მხარზედ და გასწია სათიბ მინდვრისკენ.

ანდრო მახარაძე იმ ჩვენს ძველებურს და ნეტარ-ხსენებულს დროს, როცა საქართველო თამარის ძლევამოსილ დროშის ქვეშა ჰყვაოდა და, როგორც ეხლა, მაშინაც ყარსი და არდაგანი ჩვენს ხელში იყო, სცხოვრობდა არტაანის მაზრის ერთ-ერთს სოფელში, მტკვარ გაღმა, ქასირეთის მთის ძირას, სადაც ეხლა მშვენიერი ეკკლესია სდგას, მაგრამ მოვლით-კი ამ ეკკლესიას აღარავინ უვლის და ნადირი თარაქამები უდიერად ეკიდებიან.

ანდრო მახარაძე თვრამეტის წლისა იყო, როცა დედ-მამა თითქმის ერთს წელიწადს დაეხოცა და, თუმცა ბლომად მამულ-დედული და საქონელი დაუტოვეს, მაგრამ ყმაწვილს ბიჭს, რომელსაც ოროლი და: ერთი თამრო, თექვსმეტის წლისა, და მეორე მზე-ქალა, თერთმეტის წლისა, დარჩნენ თავის ანაბარად, პირველადვე დიდი შრომა და ოჯახის მუყაითად გაძღოლა დააწვა კისერზედ, თუმცა ამ შრომას იმისი ერთგული და საყვარელი თამრო დიდად უმსუბუქებდა, რადგან ძმასავით მხარში ედგა და მთაში თუ ბარში არ ატყობინებდა მარტოობასა და ობლობას. ეს ორი სული ისე იყო ერთმანეთს შეჩვეული და ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ერთის დღის უნახველობა ორივეს დააფიქრიანებდა, დაადარდიანებდა ხოლმე და ისე ჰგონებდნენ, თითქოს ის დღე დღე არა ყოფილიყოს მათთვის. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თამრო, თუმცა კარგის ოჯახის შვილები და კარგი ბიჭებიცა თხოულობდნენ, ვერა ჰბედავდა გათხოვებას.

— ჩემს ანდროს თავს როგორ დავანებებო, იტყოდა ხოლმე თამრო და ხშირად სახლში მოსულს მოციქულს*) ცარიელს გააბრუნებდნენ.

— არა, გენაცვალოს თამრიას თვალები! ეტყოდა ხოლმე თამრო ძმას: ჯერ ერთად ვიშრომოთ, გავისარჯნეთ, მამიჩვენის ოჯახს ნუ მოვშლით, კერაში ცეცხლს ნუ გავიქრობთ და მერე... მერე, თუ ღმერთი შეგვეწევა, ჯერ შენ მოგგვაროთ ცოლი, რომ ჩემსავით მომვლელი და გამკეთებელი გყავდეს და... გაწითლდებოდა თამრო და დაღუნავდა თავს. ანდროც, რომელსაც თავის მხრით მზე თავის დაზედ ამოსდიოდა, უნდოდა იმისთვის ესიამოვნებინა და არას გზით არა სთანხმდებოდა დაქორწილებას, ვიდრე დის გვირგვინს არა ჰნახავდა.

— მე, გოგო, მზექალაც წამომესწრება, ისიც წაიყვანს ოჯახს იოლად, შენ-კი... შენ დაბინავება გინ-

*) მაჭანკალი.

ლეკი რომ შემძვრალა ოთახში, სამოვარს დასჯახებია და ამ დროს მამასახლისს გამოჰღვიძებია. ლეკს აუღია ხანჯალი და მამასახლისისათვის დაურტყამს პირი-სახეზედ და ნახევარი ცხვირი თვალებს ქვემოთ სულ ჩამოუშორებია. შემდეგ გამოჰღვიძებია მამასახლისის ძმას, კარებს დასჯახებია და აუტეხნია ერთი ჩხუბი, თავისი სახლობა ჰგონებია: ამ დროს, რა ამბები გაქვთო. ლეკს ხანჯალი ახლა ამ მამასახლისის ძმისათვის შიგ მარცხენა ფერდში დაუცია და გვერდი გაუფლეთნია. ამ დროს გამოღვიძებია მამასახლისის მეუღლეს და აუტეხნია ერთი კიჟინა და წივილ-კივილი. ამ ლეკს ამ დედაკაცისათვის დაურტყამს ხანჯალი მარჯვენა მკლავში და უთქვამს: „მომეცი ჩემი ხუთი მანათი, თორემ მოგკლავო“. დედაკაცს ხმა არ გაუცია, მაშინვე მივარდნია ამოღებულს ხანჯალს და, რადგანაც თავისი ჭრილობა სულ ვერ უგრძვნია, წაუვლია ხელი და ლეკისთვის კალთა ჩამოუჭრია; შემდეგ უყვირნია, მომიტანეთ ან ცული, ან წალდი, რომ ამ რჯულზედ ხელაღებულს თავი შუაზედ გავუპოვო. ლეკს შეშინებია და ფანჯრიდგან გადამხტარა. ესა და მეორე ლეკიც, რომელიც გარედ ელოდდა, კარებს გამიღებსო, ორივენი გაქცეულან ხელ-ცარიელები. თუმცა მამასახლისს არა უჭირს-რა და იმის მეუღლეს, მაგრამ, საუბედუროდ, მამასახლისის ძმის მორჩენა-კი საეჭვოა. ყველანი, ვინც იპოვნეს იქ მყოფი ლეკები, დააპატიმრეს სხვა-და-სხვა ალაგას. რადგანაც დედაკაციც იცნობს იმ ავაზაკს ლეკს, არ შეიძლება, რომ არ იპოვნონ ამ ცოტა ხანში.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ჰაჰის არაყს გრადუსზედ კიდევ 1 კაპეიკი მოუმატოს, ასე რომ 1892 წლიდგან ერთ გრადუსს არაყზედ 5 კაპეიკის მაგიერად 6 კაპეიკი აქციზი იქნება.

*** იმავე გაზეთს სწერენ, რომ სადგურებს აჯი-ქაბულსა და ნავაგას შუა კალია გაჩენილა. რკინის გზის ლიანდაგზედ იმდენი კალიაა თურმე, რომ საქონლის მატარებელი ჩერდება ხოლმე.

*** გაზეთ „Нов. Вр.“-ს სიტყვით, ამ ზაფხულს დაიწყობა მუშაობა ყარსში რკინის გზის გასაყვანად.

*** ბათუმი: გაზეთს „Кавказъ“-ს სწერენ: დღეს, 19 აპრილს, ბათუმში მოვიდნენ ოსმალეთის სომხეთის დელეგატები, ხუთი სამღვდელოებისა და ხუთიც საერო. ხვალ დელეგატები ტფილისში გამოემგზავრებიან და იქიდგან ეჩმიაძინში წავლენ კათოლიკოსის არჩევანზედ დასასწრებად. ხვალვე ბათუმში მოელიან კიდევ 16 დელეგატს.

## მთავრობის განკარგულებანი

ოზურგეთის მაზრის მმართველობის შტატ გარეშე მყოფი მოხელე ვლადიმირ იმნაძე თავისისავე თხოვნით გადაყვანილ იქმნა ტფილისის მაზრის მმართველობაში.

სამსახურს გარეშე მყოფი ფერშალი ნესტორ კახეთელიძე მიღებულ იქმნა ტფილისის მაზრის მმართველობაში.

გორის მაზრის მმართველობის თარჯიმანი მიხეილ სავანელი დანიშნულ იქმნა იმავე მმართველობის საქმეთა მწარმოებლად.

თავისისავე თხოვნით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ტფილისის სასაზღვრო პალატის მოხელე ანდრია იღარიონის ძე ადამიძე.

ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის მცხოვრებელს სიმონ კალანდაძეს ამა წლის 25 თებერვალს ნება ებოძა, რათა მან მიიღოს და ატაროს სპარსეთის შაჰის მიერ ნაბოძები ორდენი მეოთხე ხარისხისა „ლომი და მზე“.

ტფილისის 1-ლ ნაწილის პოლიციის მოხელე ხელაშვილი მიღებულ იქმნა ტფილისის გუბერნიის მმართველობაში და გაგზავნილ იქმნა ბორჯომის ბოქაულის თანაშემწედ.

## სამწუხარო ამბავი

ბევრჯელ იყო გაზეთებსა და წიგნაკებში აწერილი მაჰმადიან ქართველების მდგომარეობა, იმათი აწინდელი ცხოვრება და აგრეთვე იმათი გულითადი სურვილიც ქართულის წერა-კითხვის შესწავლისა და წიგნების შეძენ-წაკითხვისა, მათი გაჭირვებული მდგომარეობა, წიგნების შეძენის შეუძლებლობა და სხვა მათ მიერ მოსურვებულ წარმატების დამაბრკოლებელი მიზეზი. წერილების დამწერნი ვალადაცა გვდებდნენ დავხმარებოდით ჩვენს დაკარგულს ძმებს, დაგვებრუნებინა ისინი ჩვენის სამშობლოსათვის, ძმური ხელი მიგვეწოდებინა და დავრდომილნი ფეხზედ დაგვეყენებინა, სიხარულით მივეგებოდით, გულზედ მიგვეკრა და ძმურად გაგვენაწილებინა სიხარულიცა და მწუხარებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველმავე ამან ჩვენის თვალისა და გონების წინ შეუმჩნეველად და ჩვეულებრივად ჩაიარა. ამითი ნამდვილად დავამტკიცეთ, რომ ჩვენში საზოგადო და საერთო საქმე ან ერთ ადგილას ჩერდება ხოლმე და ან კუს ნაბიჯით მიდის წინ. ყველა ჩვენგანი უფრო პირადობას, კერძოობას აწდომებს თავისს გონებრივსა, ზნეობრივსა და ნივთიერს ძალ-ღონეს, გაგვქრობია საერო და საზოგადო საქმის სიყვარულის გრძნობა! გაგვქრობია და ისე შესამჩნევადაც-კი, რომ ჩვენი მეზობელნი ერნი შენიშნასაც გვაძლევენ ხოლმე. ჩვენ-კი, ცდის მაგიერად, თავს იმათი ვმართლულობთ, რომ ქართველები უქონელი ხალხი ვართო, ნივთიერის ძალ-ღონით თქვენზე უძლურნი ვართ და აი, ეს არის ჩვენის დაქვეითების მიზეზიო. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს თავის გამართლება უსაფუძვლო თავის გამართლებაა! გული გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევაო, ნათქვამია. ჯერ ჩვენში ხომ ისეთი საზოგადო საქმე არ არის, რომ დიდი ნივთიერი ძალ-ღონე მოინდომოს თავისის განხორციელებისათვის. სულ ორი-სამის საზოგადო საერო საქმისათვის მოგვიკიდნია ხელი და ლამის ისიც-კი დავცეთ, შევმუსროთ ჩვენის დაუდევრობით, ჩვენის გულცივობითა და კერძო საქმის სიყვარულით. ნეტა ამ კერძო საქმის სიყვარულშიაც ისეთი უნარი გვქონდეს მაინც, რომ ქონების შეძენა და ოჯახურის ცხოვრების გაუმჯობესება შეგვეძლოს, ან მისი დაზოგვა ვიცოდეთ და იმ იმედით ვიკვებებოდეთ, რომ თუ საზოგადო საქმეში უხეირონი ვართ, დროთა ბრუნვამ შეიძლება ჩვენი შვილები საზოგადო ცხოვრების ასპარეზზედ გამოიყვანოს და ჩვენ მიერ შეძენილი ქონება სამშობლოს საკეთილდღეოდ მოიხმარონო.

რას ვაკეთებთ ყველა ამის მაგიერად? იმას, რომ კვირა-უქმე და ისე დღეობითაც სარდაფებში და სასტუმრო-ყავახანებში დავიარებით, შემოვუსხდებით ხოლმე ნუნუათი დატვირთულს სტოლს და ყელს ვიკოკლოზინებთ. ხორცს ვასუქებთ და სულსა და ადამიანურს მოვალეობასკი მტრად ვუდგებით. ჩვენში ბევრს მწიგნობარსაც შეხვდებით, რომელიც თავისს სინიდისსა და ზნეობრივს მოვალეობას იმითი იკმაყოფილებს, რომ ყურძნის წვენით ტვინ-შეხურებული ალტაცებით გაიძახის: „ჰიქით ვსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს“. იქნება იფიქროთ, ამათ იმდენი არ ესმით, რომ ღვინის სმით და სიმღერით საქართველო ვერ გაიმარჯვებსო? თქვენც არ მომიკვდეთ! აბა ვინ არ იცის, რომ ღვინო კუჭში ჩადის და სიტყვა-კი უსაქმოდ ჰქრება ჰაერში? აბა სად კუჭი და სად საქართველო? ვერც იმითი ვინუგეშებთ თავს, რომ ამ გვარს ხალხს არა მოეკითხება-რა, ვითომ-და იმიტომ, რომ გონების განვითარებით დაბლა სდგანან და საზოგადო საქმისათვის ჯერ მომზადებულნი არ არიანო!

არც ჩვენი ამავე წოდების წინაპარნი იყვნენ გონებით ძლიერნი, მაგრამ ადამიანის ერთი უმთავრესი თვისება—მაღალი ზნეობა და მტკიცე სიყვარული ყოველის საზოგადო, საკეთილო საქმისა-კი ძლიერი ჰქონდათ: სიტყვას საქმით აგვირგვინებდნენ, მტკიცედ უყვარდათ თავისი სარწმუნოება და სამშობლო, მისი ჭირი და ლხინი თავისს ჭირად და ლხინად მიაჩნდათ. მდიდარი, ღარიბი, თავადი, გლეხი, მღვდელი და ერი ერთმანეთს მხარში უდგა და ერთად ეწეოდნენ ცხოვრების ჰაპანს. სადღაა ყველა ეს? სულითა და გულით შევიცვალენით, ერთმანეთს ვეღარა ვცნობთ, მაღალი წოდება თავისს უმცროსს ძმას ახლოს არ იკარებს, თითქოს საერთო აღარა გვქონდეს-რაო. მართალია, გარეშე მტრები აღარ გვაწუხებენ, რომ შევერთდეთ და დავუხვდეთ, მაგრამ ჩვენა გვყავს სხვა მოზიანე, მრავალთათვის უხილავი, მძლავრი და მედგარი, რომელიც ნელ-ნელა შეუმჩნეველად ანადგურებს ყოველსავე მას, რის დაცვისათვისაც ჩვენნი წინაპარნი იღვწოდნენ, და ეს მტერი, ეს მოზიანე ჩვენი სულითა და გულით, ჩვენი ზნეობით გარდაქმნაა, გადასხვაფერება. ჩვენ ჩვენის თავის მეტი აღარა გვახსოვს-რა, კუჭის მეტი აღარა გვწამს-რა, სულითა და გულით დავცემულვართ, მერე ისე ძლიერ, რომ სულ მცირე გარემოება გვცვლის, ცუდს გზაზედ გვაყენებს, სულ-მოკლე კაცად გვქმნის, ავისა და ბოროტის მოქმედებას გვაბედვინებს, გვავიწყებს ყოველს ადამიანურს მოვალეობას... აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ, არა თუ საზოგადო, კერძო ცხოვრებაშიაც ვერაფრის უნარი ვერ გამოგვიჩენია.

აბა მივხედოთ სხვა ერს. ყველგან და ყოველს საზოგადო საერო საქმეში მაღალი, განათლებული წოდება მიუძღვის წინ ერს და გზას უკვალავს. ეს წოდება აცხოველებს და ასულდგმულებს საზოგადო საერო საქმეს, ამათს მაგალითს მისდევენ მისნი მცირე ძმანი და ამ გვარად, სამშობლოს და ერს სამსახურს პირ-ნათლად უხდიან. ჩვენში-კი ეს მოვალეობა აინუნშიაც არავის მოსდის და ზოგს სიცილადაც არა ჰყოფნის. მე თვით გამიგია ბევრისაგან: „ყმაწვილობააო“. გამქრალა კაცის დამაშვენებელი გრძნობა, სიყვარული მოყვასისა, სიყვარული ყველა იმ საქმისა, რომელიც ადამიანის ნაკლს ავსებს და ყველგან კეთილსა ჰნერგავს, სადაც საჭიროა.

თუ არ ეს, მაშ რა მიზეზია, რომ ასე გულ-ცივად ვექცევით მაჰმადიან ქართველებს? განა სხვა ერი ასე მოიქცეოდა? ეს ოდესმე განთქმული ხალხი, ნიჭიერნი მეხნი, მტრისაგან განადგურებულან, დავრდომილან, ყოველივე ქართული გაჰქრობიათ, ამოჰრეცხიათ. მხოლოდ ერთი დედაენა შენახულა, ისიც ვაგლახად ⁊ დიდის წვითა ⁊ დაგვით*). ეხლა ხელს გვიშვერენ, ქართული წიგნები გვაჩვენეთ, სამშობლო ენაზედ წაგვაკითხეთ რამეო. ამის შესახებ ცალკე გაზეთებმა და ცალკე წიგნაკებმა ყურები გამო-

*) თუ მალე ხელი არ მივაწოდეთ, ვინ იცის, ამასაც რა ბედის წერა დაემართება: თურმე სათათრეთიდგან ხოჯებს ჰგზავნიან და თათრულის წერა-კითხვის გავრცელებას ხელს უმართავენ და უწყობენ.

---

და, ეტყოდა ხოლმე დინჯი და მოსიყვარულე ანდრო.

ამათი საუბარი ყოველ თავისუფალს დროს ასე თავდებოდა, ვიდრე ისევ ანდრომ არ მოიხერხა.

— მაშ, თამრი, წარმოსთქვა იმან ერთს საღამოს, როცა მინდვრიდგან დაბრუნდა, მუშებს პური აჭამეს და მოჰყვნენ ჩვეულებრივს ტკბილს დაძმურს ბაასს: მაშ, გოგო, თუ არ დაგიშლია, ღმერთი იყოს მოწამე, რომ ერთს კვირაში მოვახერხო ჩვენი ქორწილი. თუ არ დაგიშლია-მეთქი, ჯერ მე დავიწერ ჯვარსა და მერე შენს ქორწილს მოვახერხებ, დაასრულა ანდრომ და გაუშტერა დას თვალი, თითქოს პასუხს ელისო. თამრო, რომელიც ჩვეულებისამებრ ფეხთით ეჯდა ანდროს, თვალის დახამხამებაზედ წამოხტა და ძმას შემ იექნა კისერზედ.

— ოჰ, ანდრიავ! შენ გენაცვალოს შენის დის თვალები: მაშ მიჩვენებ ძალოს, რომ მეც დავსტკბე თქვენის ცქერითა და ბედნიერებით? დაინიშნები?

— მოიცა, ქალო, სთქვა აუჩქარებელმა ანდრომ: სოფელი აჩქარებით არავის მოუჭამია. მე ჯერ გულში არავინა მყავს და რა ვიცი...

— მე ვიცი, თავს შემოგევლოს შენი თამრია. იმედი მაქვს, შენც მოგეწონება, წარმოსთქვა სიხარულით დამ და დაასახელა ამავ სოფლის ერთი კარგის ოჯახიშვილის ქალი, რომელსაც დიდი ხანი იყო რძლად გამოელოდდა, მაგრამ ანდროსათვისკი არა ეთქვა-რა, რადგან სიტყვას არ მოუტანია.

ანდროს ქალის დასახელებაზედ თითქოს შერცხვაო. იმასაც, მართლაც, ორჯელ, სამჯერ ენახა საბდია, ნინია ოქროაძის ქალი; ერთხელ გაეხუმრა კიდეც, როცა საბდიას ცივი წყალი მოჰქონდა წყაროდგან. რაღაც მოუსვენრობა შეეპარა გულში ამას შემდეგ და, როცა-კი ნინიას სახლისკენ გავლა მოუხდებოდა, განგებ ჩოხას შემოიკალთავებდა და დაიწყებდა ეზოსკენ ყურებას, იქნება საბდიას თვალი მოვკრაო, მაგრამ ყველა ამას ჯერ სულ უაზროდ სჩადიოდა და ვერ წარმოიდგენდა, რომ თამროსაც ის ეყოლებოდა ფიქრად და ასე უცებ სახტად პასუხ-მიუცემელი დარჩებოდა.

— კარგია, მამა არ წამიწყდება და ვარძიის ღვთის-მშობლის მადლმა, გაურია სიტყვა მზექალამაც, რომელიც ამისთანა შემთხვევებში ხმა გაკმენდილი იჯდა და ჭრელს წინდებსა ჰქსოვდა ხოლმე: იმისი ხალიჩა-ფარდაგის ქსოვნა, თამაშობა, დაირა-ბუზიკის დაკვრა...

— კარგი, ჰიანური ნუ გახდი, გააწყვეტინა ანდრომ უმცროსს დას: მაშ, თამრი, მოგწონს საბდია? დამ აუწერა დაწვრილებით სასძლოს ღირსებანი და ბევრის სიცილ-ხუმრობის შემდეგ ანდროც დაჰპირდა საბდიას შერთვას.

როგორც კარგის ოჯახის შვილი, ანდრია ღვთის მოყვარული ბიჭი იყო. რაგინდ საშური საქმე ჰქონოდა, თუ ეკლესიის სიახლოვეს გაივლიდა, უეჭველად პირჯვარს გადაიწერდა და საყდრის კარებს სასოებით ემთხვეოდა. იმ დილითაც გზა პატარა წითელ თლილის ქვით აშენებულ საყდრისკენ მიდიოდა.

მოხუცებული მოძღვარი დილა ადრიან გამოსულიყო ეკლესიასთან, თავის მრევლის აქეთ-იქით მიმოსვლას თვალს ადევნებდა და მუშების დაფაცურებით სტკბებოდა. ანდრომ ჩვეულებისამებრ საყდრისკენ გადაუხვია და შენდობა სთხოვა მოძღვარს.

— სათიბში მიხვალ, შვილო? ჰკითხა ცნობის მოყვარე მღვდელმა, რომელსაც ხასიათად ჰქონდა, უთუოდ უნდა გაეგო, რომელი მრევლი სად და რას მუშაობდა.

— დიახ, შენი ჭირიმე, მიუგო ანდრიამ, შემდეგ დაიხურა ქუდი, დააკრიალა ცელი დილის მზის სხივებზედ და მგლურის ძუნძულით გაუდგა გზას. ანდრო ისე მიეშურებოდა სამუშაოდ, თითქოს საგანგებოდ მიწვეულს ქორწილში მიდისო. სათიბის გზაც მალე განვლო; ავიდა კიდეც ქასირეთის წვერზედ, სადაც აბრეშუმის მგზავსი ბალახი საკმაოდ შემოსულიყო და მცელავს-ღა ელოდდა. ათას გვარს მცენარეს სიმწიფისაგან თავი დაეხარა და, დილის ნამით დაბკურული, მზის სხივებზედ მარგალიტივით ელვარებდა. ანდრომ ერთი კიდევ გადიწერა პირჯვარი, ცელს პირი მოუწყო და გაშალა მკლავები...

ნამგალო, ჩემო ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინაო!

ერთგულად დასძახოდა ანდრო თავისს „ალმასა“ ცელს და ისე ირჯებოდა, თითქოს ერთის წუთის განმავლობაში უნდა მოუღოს ბოლო მუხლამდე მოყრილს და ურიცხვის ყვავილებით აფერადებულს ბალახსაო.

გასჭერ, გამიძეხ წინაო,
ნამგალო, ჩემო რკინაო!

განიმეორა ანდრომ და ოფლი თავპირიდგან ხვითქიკით წამოუვიდა. „რა კარგი ხარ, გარჯავ და შრომავ!“ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჭედეს და ჩვენ-კი მაინც ყურს არ ვიბღერტყავთ! როგორი ძმა იქნება ის ძმა, რომ თავისი დაკარგული ძმა იპოვნოს ლამში ჩაფლული და ხელს არ უწვდიდეს ამოსაყვანად!..

კმარა, ბატონებო! საქმე, საქმე!.. ცარიელი სიტყვა გაჰქრება, წავა, მხოლოდ ადამიანებრივი საქმე აღნიშნავს სიტყვის ძლიერებასა და სიკეთეს. ნუ დაგვავიწყდება განსვენებულის პოეტის სიტყვები:

„კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა „ძმობა, ერთობა“
და სიყვარულით აღვსილის გულით
დავრდომილთ მოყვასთ მოეხმარება“.

გიგზავნით ამასთან მცირეოდენს წვლილს, ჩემს მეგობრებში შეკრებილს, რომელთაც თანაგრძნობისათვის დიდს მადლობას ვწირავ, და გთხოვთ უმორჩილესად იზრუნოთ და ჩვენის ღვიძლის ძმებისათვის წიგნები შეიძინოთ და გაუგზავნოთ. რასაკვირველია, ამითი არა გახდება-რა, მაგრამ იმედია, ამ საქმეს თანამგრძნობელნი სხვებიც გამოუჩნდებიან და წინ წავა, ფრთებს შეისხამს, იმატებს და გაძლიერდება.

აი შემომწირველთა სია:

ა. რონიაშვილი 2 მანეთი, ფარნაოზ ს—ძე ისარლოვი 1 მან., პ. ა. ხითაროვი 1 მან., გ. ისარლოვი 1 მან., პ. ჯინიუზოვი 1 მან., ე. შაინოვისა 1 მან., პ. ფაფაზოვი 1 მ., გ. ფალიაშვილი 30 კაპ., ი. კეტენჯოვი 40 კაპ., ი. ფირალოვი 50 კაპ., ან. ნალბანდოვი 40 კაპ., პ. ყალაიჯოვი 50 კაპ., ი. ყალაიჯოვი 30 კაპ., ან. ფირალოვისა 50 კაპ., ნ. ჰერიქოვი 40 კაპ., კ. საკოევი 40 კაპ., თადეოზ მიხაილოვი 40 კაპ., ივანე ნაზაროვი 40 კაპ., ფელიქსო ნაზაროვი 50 კაპ., ს. კინდახჩოვი 20 კაპ., კ. ბეთანოვი 30 კაპ., მ. ნავტიკოვი 20 კაპ., ს. იუზბაშევი 20 კაპ., ა. მურადოვი 20 კ., ი. ლაზარაშვილი 2 მან. სულ 16 მან. 10 კაპ.

ი. ლაზარაშვილი

# რუსეთი

რაც დრო გადის, რუსეთის საზოგადოება უფრო და უფრო იჯერებს, რომ მიზეზი მათის მეურნეობის დაქვეითებისა და წრევანდელის სიმშილისა მიწის მუშაობის წესის გაუვარგისებაა, რაიცა თავის მხრივ შედეგია გლეხ-კაცთა გაღარიბებისა, ხოლო თვით ამ გლეხების გაღარიბების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობა ანუ პროტექციონიზმია. ჟურნალ „Русская Мысль“-ის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ბირიუკოვიჩისა იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს სატამოჟნო გარდასახადებს სასოფლო მეურნეობაზედ. აწინდელი სატამოჟნო გარდასახადით, ამბობს წერილის ავტორი: რუსეთში იმას უდრის, რომ თითო სულს მცხოვრებელს 6 მანათი ხარჯი წაერთვას წელიწადში, როგორც ეს გამოანგარიშებული აქვს კერძო საეკონომიო საზოგადოებას. თუ რუსეთში მცხოვრებთა რიცხვს 100 მილიონად ვიანგარიშებთ, მაშინ ამ ექვს-მანათობით 600 მილიონი მანათი შესდგება, ე. ი. $^2/_3$ სახელმწიფო მთელის ბიუჯეტისა. რამდენადაც დიდს ხარჯს იღებს პროტექციონიზმი მიწად-მომქმედის ხალხისაგან, იმდენადვე ხელს უშლის და აფერხებს სასოფლო მეურნეობას, მიწად-მოქმედებას. ყველაზედ მეტად მიწად-მოქმედებას სულს უხუთავს სატამოჟნო გარდასახადი რკინისა, ფოლადისა და თუჯისა, რადგან რთული თუ უბრალო სამიწად-მოქმედო იარაღი ამ ლითონებისა კეთდება. მაგრამ ამ ჟამად არამც თუ ხსენებულ მასალათა გაიაფებას, არამედ მათს გაძვირებას სცდილობენ ვითომც-და რუსეთის მრეწველობის ხელ-შესაწყობლად და გასაძლიერებლად. ამ ნაირს ცდილობას ის მოჰყვაო, ამბობს ავტორი წერილისა: რომ რუსეთში თანდათან უფრო ნაკლები რკინა იხმარება. 1873 წელს გავიდა 28 მილიონი ფუთი რკინა, 1887 წელს-კი მარტო 25 მილიონი-ღა. ხოლო განასაღებ რკინეულობის რაოდენობა ნიშანია ამ თუ იმ ქვეყნის მეტ-ნაკლების სატეხნიკო წარმატებისა. აი მაგალითად: ინგლისში წელიწადში კაცის თავზედ იხარჯება 10 ფუთი რკინეულობა, საფრანგეთში 6 ფუთი, გერმანიაში 5 ფუთი და რუსეთში-კი 22 გირვანქა.

როდესაც პირველად დააწესეს სატამოჟნო გარდასახადი სამეურნეო მანქანებზედ, ასე ეგონათ, რომ ამ შემწეობით რუსეთშივე აღორძინდება ქარხნები, რუსებისგანვე იყიდიან და უცხოელ კომისიონერებს თავიდგან მოიშორებენო, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განხორციელდა სურვილისამებრ. უცხოეთიდგან მოტანილი მანქანები ძლიერ გაძვირდა, ხოლო შიგ რუსეთში, რადგან მეტოქენი არავინა ჰყავთ, უვარგისს მანქანებს დაუწყეს კეთება. ერობანი და სამეურნეო საზოგადოებანი მუდმივ სჩივიან მიწად-მომქმედის გაჭირვებას და მიზეზად მთავრობის მიერ მექარხნეთა მფარველობას ასახელებენ. მილიონს მეურნეს ვერ შეუძლიან შეიგნოს, რის გულისათვის უნდა მდიდრდებოდეს მხოლოდ 400 ან 450 მექარხნე და მრავალი მეურნე-კი გაჭირვებაში უნდა ვარდებოდეს.

მაგრამ იქნება მრეწველობა მაინც გაძლიერდა პროტექციონიზმის შემწეობით და იმას შეუძლიან აღადგინოს ესოდენ დიდი ზარალი მეურნეთა და საშოვარი მისცეს მუშათა? სრულიადაც არა. პირ-იქით, დიდმა მფარველობამ უფრო გაათახსირა მრეწველ-მექარხნეობა და აი, რამდენი ხანია ქარხნების მუშათა რიცხვი რუსეთში ერთს მილიონს არ გადასჭარბებია. ხეირი პროტექციონიზმის წყალობით მხოლოდ მექარხნეებსა აქვს და სხვა არავის. და ან რა მრეწველობა უნდა გაძლიერდეს იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი, უმთავრესი მომხმარებელი ნაწარმისა, იმდენად განაცარტუტებულია, რომ ვერ ძალ-უძს უმთავრეს საჭიროებათა დაკმაყოფილებაც-კი. მრეწველობა მაშინ გაძლიერდება, როდესაც ნაწარმს მომხმარებელი ბლომად ეყოლება. მაგრამ აწინდელი ტარიფი—ძლიერ დიდი სატამოჟნო გარდასახადი სულს უხუთავს ხალხის კეთილდღეობას. ხსენებულის წერილის ავტორსაც სწორედ ეს გარემოება აქვს აღნიშნული და დასურათებული.

# უცხოეთი

**გერმანია.** ბერლინში ამ ჟამად მესამე სოციალ-სასახარებო კონგრესია გამართული. საგნად ამ კონგრესს ისა აქვს, რომ უნდათ განაძლიერონ მნიშვნელობა ლოტრანგთა ეკკლესიისა ფულისა და შრომის ერთმანეთში მოსარიგებლად. პროტესტანტების სამღვდელოება ამ უკანასკნელს დროს სცდილობს, რომ, კათოლიკეთა სამღვდელოებასავით, თითონაც საპოლიტიკო და საზოგადოებურს საქმეებში მონაწილეობა მიიღოს და გამორკვეული ალაგი დაიჭიროს. აი უკვე ეს მესამე კონგრესს ჰმართავენ ლოტრანგთა წარმომადგენელნი, რათა გამოირკვიონ პროგრამა თავიანთის საპოლიტიკო მოქმედებისა. მართალია, ჯერ ვერ შეთანხმებულან ერთმანეთში აზრით სხვა-და-სხვა ადგილის წარმომადგენელნი ლოტრანგთა, მაგრამ ყველას ერთი სურვილი აერთებს—ნუ ჩამოვრჩებით კათოლიკეთ და ჩვენის სარწმუნოების სამღვდელოებაზედაც დიდი ყურადღება მივაქცევინოთ საზოგადოებასაო. ახალგაზდა წევრნი ხსენებულის კონგრესისა ისე გატაცებულნი არიან ამ აზრით, რომ პირდაპირ ჰქადაგებენ: სოციალ-დემოკრატიას-კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ მხარი მხარს უნდა მივცეთ და ისე ვიმოქმედოთო. მოხუცს წევრებს კონგრესისას არაფრად ეჭაშნიკებათ ასეთი ქადაგება და სიტყვები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებენ. აი ვინა და ვინ არიან უმთავრესნი წევრნი კონგრესისანი: პროფესორი ადოლფ ვაგნერი, ბაუმგარტენი, ვებერი, ახალგაზდა თეოლოგი გარე, სასახლეში მოძღვრად ნამყოფი შტეკერი და ამისი საშინელი მოწინააღმდეგე პროფ. გარნაკი. ამას გარდა, კონგრესში მონაწილეობას იღებენ პროფესორი გირკე და პოლკოვნიკი ეგიდი, მოციქული თავისუფალ ქრისტიანობისა. ამ კონგრესის პირველს კრებას დაესწრო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ბერლეპში და ერთი საათი ყურს უგდებდა კამათს.

კონგრესის მიერ განხილულ საგანთა შორის საყურადღებოა ფრანკფურტელ პასტორ ნეიმანის რეფერატი—„ქრისტიანობა და ოჯახი“. ორატორ ბებელისა და სხვების აზრის წინააღმდეგ დახატული აქვს იდეალი ოჯახისა, რომელიც დამყარებულ უნდა იქმნას საერთო შრომისა და ზნეობრივს კანონზედ. მართალიაო, ამბობს ავტორი რეფერატისა: ამ ჟამად, როცა არამც თუ მამები, არამედ დედებიც ათასობით მუშაობენ სახლს გარედ, ზნეობრივი მხარე ოჯახისა ჰქრება და სუსტდება, მამები აღმზრდელები აღარ არიან ყმაწვილებისა და არც თვით ყმაწვილებს ეზრდებათ გულში სიყვარული მშობლებისა. რეფერატის ავტორისა და სხვა ორატორთა აზრით ოჯახს მხოლოდ მაშინ შეეძლება ოჯახობის გაწევა, როდესაც ქარხნებში მუშაობა ქალებისა ან სრულიად მოისპობა და ან ძლიერ შესუსტდება. პროფესორმა ად. ვაგნერმა სთქვა, რომ ეხლანდელი მუშათა საცხოვრებელი სახლების მოწყობილობა და გარემოება უწყობს უმთავრესად ხელს ოჯახის განადგურებასა და დაცემასაო.

ვაგნერის აზრით, უმთავრესი ბოროტება იმ გარემოებიდგან წარმოსდგება, რომ ქალაქის მამულები სპეკულიატორების ხელშია ჩავარდნილი და მუშა ხალხს სული ეხუთება: საჭიროა, რომ მთავრობამ სპეკულაციის აღკრძალვითა და სხვა გვარ ღონისძიებათა შემწეობით იზრუნოს და მუშებს იაფი და სალი სადგომი სახლები გაუჩინოს. კონგრესმა განიხილა თითქმის ამ საგნის შესახებვე მეორე რეფერატიც: „აღმზრდელობითი მნიშვნელობა ქარხანათა შესახების კანონმდებლობისა“. ამ რეფერატის განხილვის დროს კონგრესმა სურვილი განაცხადა, რომ მთავრობა უფრო მეტად ჩაერიოს ხოლმე მუშათა საქმეში და ამა თუ იმ ღონისძიებათა შემწეობით განაკარგოს მათი აწინდელი არა სანატრელი მდგომარეობა.

ამას გარდა, კიდევ რამდენიმე სხვა რეფერატი განიხილა კონგრესმა და სხვათა შორის რეფერატი ად. ვაგნერისა—„ახალი სასოციალ-დემოკრატიო პროგრამა“.

# წვრილი ამბავი

პარიჟის გაზეთები შემდეგს ამბავს იუწყებიან. ქუჩა-ქუჩა მოსიარულე მემუსიკემ, რომელიც გიტარაზედ უკრავდა, ლიუ ულმანმა, ლუკსემბურგელმა, თავისს ახლა-ხან გარდაცვალებულის ბიძისაგან სამკვიდროდ ერთი ძველი გიტარა მიიღო თურმე. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იმისი ბიძაც ქუჩა-ქუჩა მოსიარულე მემუსიკე იყო. კვირა საღამოს ულმანი ყავახანაში შევიდა პარიჟის ერთის ბულვართან, რომ რამდენიმე სიმღერა ეთქვა და ორიოდე გროში ეშოვნა. ამ საღამოს ულმანს ჩხუბი მოუვიდა ყავახანის ერთს სტუმართან და ჩხუბი მუშტის კრივადაც გადაიქცა. ჩხუბსა და

---

იფიქრებდა ანდროს დამნახავი მგზარი.

თამრო სოფელში განთქმული ქალი იყო, თუმცა ახალგაზდა, მაგრამ ჭკვა დამჯდარი; ისე უვლიდა შეძლებულს ოჯახს, თითქოს გამოცდილი, ორმოცის წლის დედაკაციაო. ანდრო წავიდა თუ არა, მაშინვე სადილის მზადებას შეუდგა. პატარა მოჯამაგირეს, რომელიც სულ შინ რჩებოდა ძროხების მოსარეკად და ნახირშივე გასარეკად, წააწყვეტინა ვარიას თავი და მოხრაკა ტაბაკად. ამასთანავე იქაურების საყვარელი საჭმელი—რძის კორკოტიც მოუმზადა ანდროს.

— მზექალავ! გასძახა თამრომ თავისს უმცროსს დას, როცა საქმეებს მორჩა და ჯერი წასაღებად მზად იყო: სახლი უპატრონოდ არ დასტოვო, მალე მოვალ. შემდეგ დაავლო ხელი ორს პატარა ბოხჩას და გაუდგა გზას. თამრო, რა-კი სოფელს გასცდა, ღიღინით მიდიოდა, უფრო მიგოგავდა და გზაში ათასს გვარს სასიამოვნო და ფრთა-გაშლილს ფიქრს ეძლეოდა. ჯერ გაუარა გულში ანდროს მომავალმა ბედნიერებამ, ქორწილმა, რძალთან ტკბილად ცხოვრებამ, და ბოლოს წარმოუდგა თავისი მაცოცხლებელი, გამხარებელი და გამმაბედნიერებელი სვიმონიკო, დედის ერთა გლეხის ბიჭი, რომლისათვისაც დიდი ხანი იყო პირობა მიეცა მეუღლეობისა, მაგრამ ჯერ ხანობით-კი ჰმალავდა სიყვარულს, რადგან თამრომ, როგორც მრავალმა სხვამ, იმ დროს კარგად იცოდა, რომ „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარევსა“. ამ ფიქრსა და ოცნებაში თამრომ ისე გაიარა სათიბის გზა, რომ ვერც-კი გაიგო. მხოლოდ როცა თავი მაღლა აიღო, რაღაც ეჭვმა გაურბინა გულში: ანდრომ, მართალია, უთხრა, რომელ მხარეზედაც უნდა წასულიყო სათიბლად, მაგრამ ადგილობრივ-კი არ ასწავლა. მით უფრო ეჭვი უძლიერდებოდა თამროს გზის შეშლის თაობაზედ, რომ შუადღემ მოატანა და ისკი ისევ შამბში დადიოდა და ანდროს ეძახოდა, საითა ხარო.

ანდრომ, რა-კი დაატყო, რომ სადილმა დაიგვიანა და ცოტა ჩამოცხა კიდეც, პურიც მოშივდა,—სიმშილი ხომ ისე არავის უძლიერდება, როგორც მცელავს, რომელსაც მთელი ძარღვები განუწყვეტლივ ეჭიმება და მოძრაობაში აქვს!—შეაგროვა ცოტაოდენი გათიბული თივა, იქვე ხის ძირში მისდო და წამოწვა დასასვენებლად. მოღალულს მუშას მალე ძილი მოერია და ანდრომ გმირული ხვრინვა ამოუშვა...

თამრომ ამ დროს, მოღლილმა და მოქანცულმა, მხიარულით ქასირეთის წვერამდის მიაღწია, იმედი ჰქონდა, რომ იქიდგან, როგორც მაღალ ადგილიდგან, გადიხედავდა აქეთ-იქით და დაინახავდა ანდროს და ცელის ქნევაზედაც იცნობდა კიდეც მალე. საბრალო თამრო, ვიდრე მიიხედ-მოიხედავდა, დასუსტებული მაღალ ბალახების გრილოში ჩაჯდა და ცოტა ხნის შემდეგ, ყვავილებთან ჩახვეულს, ძილი მოერია.

ანდრო კუჭის სიცარიელემ დიდ ხანს არ მოასვენა. მალე გამოეღვიძა, თითქო უკეთ ჰგრძნობდა თავს, ცელს მივარდა, ქასრით*) პირი მოუწყო და, აქამდის თუ სიგრძეზედ სთიბდავა, ეხლა გრილოდგანვე გარდი-გარდმო მოუსვა ცელი.

— ვიდრე თამრო ჯერს ამომიტანს, გადავსჭრი პირდაპირ და ამ ლესსაც**) გავიტანო, ჰფიქრობდა ანდრო. ანდროს სიცხის ლულმა თვალები დაუწითლა და ოფლისაგან თითქოს ბინდი გადაეკრა ზედ. ის იყო „ნამგალოო“ უნდა დაეძახნა მოთმინებიდგან გამოსულს მუშას, რომ ცელი რაღაცა მაგარს წამოედო და ცოტას ხანს შემდეგ საზარლად დაიწკრიალა!..

საბრალო თამროს ტურფა სახიანი თავი ისევ მიწაზედ ხტოდა და გვამი, თავს მოშორებული, სისხლის მორევში სცურავდა, როცა ანდრომ ერთი-კი საცოდავად შეჰღრიალა და შემდეგ ხელებ-აღპყრობილმან შესთხოვა ღმერთს: ღმერთო, ნუღარც მე მაცოცხლებ და ქასრად გადამაქციეო! მაცხოვარმა წრფელი ვედრება მოსიყვარულე ძმისა შეიწყნარა და საბრალო ანდრო, რამდენისამე წუთის წინად სიცოცხლით სავსე, ეხლა უგრძნობელ ქვად აიმართა. ეს ქვა ერთგულ ღამის გუშაგსავით დაჰყურებს იმ არე-მარეს და თითქმის დღის სავალ მანძილიდგანაც-კი სჩანს.

ქართველმა მწყემსმა კარგად იცის ეს მთა. რა წამს მიახწევს მეცხვარე ქასირეთის თავს, ჯერ სასოებით სამჯერ პირჯვარს გადაიწერს, შემდეგ მოუჯდება ამართულს ქვას და მწუხარედ დააკვნესებს სალამურს დაუტირებელ და-ძმის დასატირებლად. წყვილი მტრედი შემოჯდება ქვის წვერზედ ტკბილის ღუღუნით, თითქოს ანდროსა და თამროს სულს ავედრებს ღმერთს და იმათთვის შენდობასა სთხოვსო.

ექ. მიქელაძე

*) ცელის სალესი ქვაა.

**) ლესი, ნალესი .სათიბი, რომელსაც ერთს ხამუშზედ მორჩებიან.

ორონტრიალში უცნობმა ულმანის გიტარას წამოავლო ხელი და ისე მაგრად დაუშინა გიტარის პატრონს, რომ საამუსიკო იარაღი ზედ მიალეწა. პოლიციელებმა ორივე მოჩხუბარი პოლიციაში წაიყვანეს ყანნა დ'არკის ქუჩაზედ და გიტარის ნამტვრევებიც თან მიადევნეს. პოლიციელმა ბ-ნმა დრუმმა, სწორედ იმან, რომელმაც რავაშოლი დააპატიმრა, გასინჯა გიტარა. უცბად გიტარის შიგნიდგან სტოლზედ შეხვეული კვანძი დავარდა. პოლიციელმა გახსნა და შიგ კარგად მოკვეცილი ბანკის ბილეთები აღმოჩნდა ხუთასის თუმნისა. წარმოიდგინეთ ნაცემ ულმანის სიხარული და გაოცება! ულმანი გახარებული მივიდა თავისს მცემელთან, ხელი გაუწოდა და უთხრა: „ცემისათვის საჩივარის დაწყება აღარა მწადიან, რადგან თქვენ რომ არ გეცემნეთ, ამ ფულს რა ეშმაკი მაპოვნინებდაო“. მცემელს განზრახვა აქვს ულმანს უჩივლოს თურმე, რომ მეც წილი მიდევს იმ ხუთას თუმანში, საპოვნელა მერგება, რადგან მე გავხდი მიზეზი იმის აღმოჩენისაო.

— ბუდაპეშტის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ შემდეგი საგაზაფხულო ეპისტოლე დაჰგზავნა ფრინველთა სახელით: „ვენგრიის სახელმწიფოს ფრინველთა წარმომადგენელნი შეიკრიბნენ და თავისს პირველსავე კრებაზედ შემდეგი თხოვნა-მუდარის ეპისტოლე შეადგინეს:

„მას შემდეგ, რაც ჩვენ შორეულ, უცხო ქვეყნებიდგან დავბრუნდით ჩვენს მფრინველს სამშობლოში და ჩვენი სადგომები მოვძებნეთ ტყესა და მინდორში, ქალაქად და სოფლად, გადავწყვიტეთ, რომ კვლავ ბედნიერი ოჯახური ცხოვრება დავეწყო, ცხოვრება მშვიდობიანი და მხიარული. ჩვენს თავსა და ჩვენს შვილშვილთ მოვანდობთ ძლიერსა მფარველობასა კაცთასა და იმედი გვაქვს, რომ ყველანი, დიდნიცა და მცირენიც, მხცოვანნიცა და ჭაბუკნიც, არამც თუ არ მოისურვებენ რაისამე ზარალისა და მწუხარების მოყენებას, არამც თუ არას ერჩიან ჩვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, არამედ მფრინველს სიკეთეს—თავისუფლებას არ დაგვიხშობენ. განსაკუთრებით უფრო იმასა ვთხოულობთ, რომ ნურასოდეს ნუ დააქცევენ ჩვენს დიდის შრომით აგებულსა და გაკეთებულს ბუდეებსა და კვერცხებს ნუ დაგვპარავენ. ახალგაზდა თაობა ჩვენი ჩვენსავე მზრუნველობას მიანდონ და ყოველთვის ისე მოექცნენ, როგორც კეთილს მეგობრებს ექცევიან.

„ჩვენც, ჩვენის მხრივ, გავართობთ და ვასიამოვნებთ სტვენითა, ჭიკჭიკითა და გალობით, ხეებსა და ბუჩქებზედ, ყვავილებსა და ბაღჩებში, მინდორსა და საქონელზედ მავნებელს მწერებს ამოვწყვეტავთ, ასე რომ ტყე-მინდორსა და ბაღვენახებს საუცხოო მოსავალი ექნება და ხალხი ღვთის განახლებულს სამყაროში უხვად დაეწაფება სიხარულსა და სიტკბოებას.

„გამოცემულია ამა-და-ამ მინდვრად, აღდგომას 1892 წლისას. კრების მინაღდობილებით ეპისტოლესა ამას ვედრებისსა ხელს აწერენ: ყარყატი, ტოროლა, ბულბული, მერცხალი“.

# დეპეშა

20 აპრილი

**პარიჟი.** გუშინ პარიჟში მომხდარ კრებათაგან ყველაზე დიდი კრება ფავიეში მომხდარი კრება იყო, რომელსაც 3,000 კაცი დაესწრო. სოციალისტთა დეპუტატ'მა ლავიმ სიტყვა წარმოსთქვა და ძლიერა ჰკიცხავდა ანარხისტთა საქციელს. ამ სიტყვას დიდის ტაშის კვრით მიეგებნენ. კრების მონაწილენი ერთმანეთს დაეთანხმნენ სამუშაო დღის დაწესებას და გაუქმებას მუშების დასაქირავებელ კანტორებისას. გუშინ ჯარი ყაზარმებში საღამოს 9 საათზედ დაბრუნდა.

**ლიუტტიხი.** გუშინ საღამოს სენატორ სანლისისა და იმის შვილის სადგომებთან ორი დინამიტის გულა აფეთქდა. კაცთაგანი არავინ დაღუპულა, ხოლო ისე-კი ზარალი დიდია.

21 აპრილი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა დაკანონებანი იმის შესახებ, თუ რა სასჯელით დაისჯებიან საიდუმლო სკოლის გამმართველნი და მექონენი ჩრდილო და სამხრეთს დასავლეთს გუბერნიებში.

კომისიას თავმჯდომარეობით აბაზასი მოლაპარაკება აქვს შვრიის გატანის საქმის შესახებ მხოლოდ რიგიდგან, რეველიდგანა და ლიბავადგან.

რადგან რკინის გზებზე აღარ არის თავმოყრილი დაგვიანებული წასაღები საქონელი, ამიტომ პოლკოვნიკი ვენდრიხი ისევ თავისს თანამდებობაზე იქმნა მიწვეული—რკინის გზათა უფროს ინსპექტორად, ხოლო დროიანად და წესიერად საქონლის წაღებ-წამოღების საქმე მიენდო რკინის გზების გამგეობათა მზრუნველობა. პოლკოვნიკს ვენდრიხს მინისტრი თანაგრძნობას უცხადებს მისის მოღვაწეობისათვის, რასაც შედეგადის მოჰყვა, რომ მოსპობილ იქმნა ხმარება საგანგებო ღონისძიებათა, რომელიც გასულ ზამთრის განსაკუთრებულ გარემოების გამო იყო გამოწვეული.

**პარიჟი.** ლიუტტიხში ხელმეორედ აფეთქება მოხდა დინამიტისა. ზარალი დიდია.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,76 | 7,81 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 196 | 197¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაცი. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — ,, | — ,, |

# გამოსადეგი ცნობანი

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

# განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხუთს მომავალს მაისს გამგეობაში არის დანიშნული ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად ქუთაისის ხიდების შემოსავლის იჯარის გაცემისათვის ორის წლის ვადით ცხრამეტ მაისიდგან 1892 წ. ვისაც სურს ივაჭროს უნდა წარმოადგინოს ერთის თთვის შემოსატანი იჯარის ფული ნაღდად, ან ბანკის ბილეთი და ანუ სარგებლიანი ქაღალდები. ვაჭრობა იქნება სიტყვიერი და დაბეჭდილ განცხადებითაც. დაიწყება ვაჭრობა თორმეტ საათიდგან და გაგრძელდება ორ საათს. ვისაც უნდა გაგება პირობისა და ანუ სხვა საქმეებისა ამის შესახებ, შეუძლიან გაიგოს დილის ცხრა საათიდგან ორ საათამდე შემდეგ, გარდა კვირა-უქმე დღისა. (3—1)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

# ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее; ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

# ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნაყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ზეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

რედაქტორი მოლაპარაკებისათვის რედაქციაში თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუდაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლში, № 21.